

კათოლიკოსთა სათვალავი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში

შესავალი

საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქების (ჯერ ქართლის მთავარეპისკოპოსების, შემდეგ კათოლიკოსების) სათვალავი შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემატიკაში სათანადო ადგილს იკავებდა.

დღეისათვის მოღწეულ ისტორიულ თხზულებებს შორის, სადაც აღნიშნული საკითხია განხილული, უძველესია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკა. აღნიშნული ისტორიული ქრონიკა, რომელიც წმ. ნინოს ცხოვრების მოკლე რედაქციასაც შეიცავს, დღეისათვის ოთხი ხელნაწერითაა მოღწეული. მათგან ორი (N/Sin.geo- 48 და N/Sin.geo- 50) X ს. დასაწყისშია გადაწერილი (ალექსიძე, 2011, გვ. 132, 167), მესამე (შატბერდული) - X ს. 70-იან წლებში (შანიძე, გიუნაშვილი, 1979, გვ. 26), მეოთხე (ჭელიშური) - XIV-XV საუკუნეებში (ყუბანეიშვილი, 1940, გვ. 91-101). აღნიშნული ქრონიკა, რომელიც მოგვითხრობს ამბებს ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობიდან VII ს. 40-იან წლებამდე (ბოლოში ერთვის ქართლის დიდ ერისთავთა და კათოლიკოსთა მშრალი სია), შეიცავს ქართლის წარმართ და ქრისტიან მეფეთა, ერისთავთა, მთავარეპისკოპოსთა და კათოლიკოსთა შესახებ ცნობებს.

მეთოდი

კვლევა ემყარება წერილობითი წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოვლენილი ფაქტების შეჯერებას, რაც საშუალებას იძლევა თვალის გაზადევნოთ დასმული საკითხის გარშემო შეხედულებების ევოლუციას შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შედეგები

ნაჩვენებია კათოლიკოსთა სათვალავის საკითხით ქართველი მემკვიდრეების დაინტერესების ხასიათი და თავისებურებები შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

მსჯელობა

ქართლის მთავარეპისკოპოსთა შესახებ ცნობები შემონახულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ დასახელებული ოთხი ხელნაწერიდან სამში (მეოთხეს, სახელდობრ, N/Sin.geo-50-ს შესაბამისი ფურცლები აკლია), სადაც მოცემულია მთავარეპისკოპოსთა რიგი, მაგრამ სათვალავის გარეშე. აღნიშნულ რედაქციებში გვაქვს მთავარეპისკოპოსთა შესახებ შემაჯამებელი ცოცხალი, რომლის თანახმად ქართლის პირველი ქრისტიანი მეფიდან (მირიანი) და პირველი ეპისკოპოსიდან (იოანე) მეათე ქრისტიან მეფემდე (ვახტანგ გორგასალი) და პირველ კათოლიკოსის (პეტრე) კურთხევამდე „მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარეპისკოპოსნი ათცამეტნი“

(მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 93; მოქცევაჲ ქართლისაჲ, 2007, გვ. 18). შემაჯამებელი ცნობა ზუსტად ასახავს ტექსტში დასახელებულ მეფეთა და მთავარებისკოპოსთა რიცხვს.

განსხვავებული ვითარებაა კათოლიკოსებთან დაკავშირებით. „მოქცევაჲს“ სინური ხელნაწერების შემორჩენილ ტექსტებში კათოლიკოსთა სათვალავი თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი. ამ განცხადებას არ ეწინააღმდეგება აღნიშნული ხელნაწერების ტექსტობრივი ხარვეზი. საქმე ისაა, რომ N/Sin.geo-48 ხელნაწერის შემონახულ ტექსტში იხსენიება პირველი შვიდი კათოლიკოსი (პეტრედან საბიას ჩათვლით, ამის შემდეგ ფურცლები აკლია), მაგრამ N/Sin.geo-50-ში ტექსტობრივი ხარვეზი მთავრდება და თხრობა იწყება სწორედ იქიდან, სადაც N/Sin.geo-48-ში (იხ. აქვე, ცხრილი № 1), ხოლო ორივე ნუსხის დაკარგულ ნაწილებში სავარაუდოდ მოხსენიებულ კათოლიკოსთა რიგს, პერსონალიას და თანმიმდევრობას სრულად წარმოგვიდგენს შატბერდული ხელნაწერი და ნაწილობრივ ჭელიშური (იხ. აქვე, ცხრილი № 1).

№ რიგზე	კათოლიკო- სის სახელი	ს ა თ ვ ა ლ ა ვ ი		
		N/Sin. geo- 50	N/Sin. geo- 48	შატბერ- დული
1	პეტრე	პირველი	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	პირველი
2	სამოელი	აღნიშნული არაა	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	აღნიშნული არაა
3	პეტრე	მესამე	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	აღნიშნული არაა
4	სამოელი	მეოთხე	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	აღნიშნული არაა
5	თავფარაგ	მეხუთხე	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	აღნიშნული არაა
6	ჩიმატა	მეექვსე	ტექსტობ- რივი ხარ-ვეზი	ვ (6)
7	საბია	მეშვიდე	ზ (7)	აღნიშნული არაა
8	ველალე	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ფ (8)	აღნიშნული არაა
9	მაცარი	ტექსტობ- რივი ხარვეზი	არ იკითხება	აღნიშნული არაა
10	სამოელი	ტექსტობ- რივი ხარვეზი	აღნიშნული არაა	აღნიშნული არაა
11	სიმონ-პეტრე	ტექსტობ- რივი ხარვეზი	აღნიშნული არაა	აღნიშნული არაა
12	სამოველი	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"ზ (12)	აღნიშნული არაა
13	სამოელ სხვადა	ტექსტობ- რივი ხარვეზი	აღნიშნული არაა	აღნიშნული არაა
14	ნართლომე	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"დ (14)	აღნიშნული არაა
15	ნართლომე	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"ე (15)	აღნიშნული არაა
16	იოვანე	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"ვ (16)	აღნიშნული არაა
17	ნაბილა	ტექსტობრივი ხარვეზი	ი"ზ (17)	აღნიშნული არაა
18	თამარ	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"შ (18)	აღნიშნული არაა
19	სამოველ	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"თ (19)	აღნიშნული არაა
20	ვენონ	ტექსტობ- რივი ხარვეზი	ი"კ (20)	აღნიშნული არაა

როგორც ვხედავთ, N/Sin.geo-48-ში მეოთხე კათოლიკოსის („სამოელი“) სახელი გამოტოვებულია; მე-7 კათოლიკოსის სახელი ხელნაწერებში ასე იკითხება: საბია (N/Sin.geo- 48, ჭელიშური), „...ბია“ (N/Sin.geo-50), დასაბია (შატბერდული); მე-13 კათოლიკოსის სახელისთვის დართული განმარტება ხელნაწერების მიხედვით ასე იკითხება: „სამოელ სხვაძე“ (N/Sin.geo- 50), „სამოელვე სხვაძე“ (შატბერდული). N/Sin.geo-50-ში ტექსტის დაზიანების გამო მე-10 კათოლიკოსის სახელის მხოლოდ დასაწყისი ასონიშანი „ს“ იკითხება; მე-15 კათოლიკოსის შესახებ შატბერდულში წერია: „ბართლომე მეორედ“.

სინური ხელნაწერების დედნები, სადაც, როგორც ჩანს, სრული სახით იყო წარმოდგენილი კათოლიკოსთა სათვალავი, როგორც ითქვა, X ს. დასაწყისშია გადაწერილი სხვადასხვა ხელნაწერებიდან (იხ. ალექსიძე, 2019, გვ. 23-28). მათი პროტოგრაფების არსებობა IX ს. მიწურულისათვის თავისთავად ცხადია. ასე რომ, „მოქცევას“ ისტორიულ ქრონიკაში კათოლიკოსთა სათვალავი, თუ უფრო ადრე არა, IX ს. ბოლოსათვის უკვე იყო.

დღეისათვის მოღწეული ხელნაწერების მონაცემები მოწმობენ, რომ მათი პროტოგრაფი კათოლიკოსთა სათვალავს უდავოდ შეიცავდა.

დროთა განმავლობაში „მოქცევას“ გადამწერთა მხრიდან კათოლიკოსთა სათვალავის მიმართ ყურადღების მოდუნება შეიმჩნევა. ასე, X ს. 70-იან წლებში გადაწერილ შატბერდულ ხელნაწერში კათოლიკოსთა რიგითი სათვალავი უმეტეს შემთხვევაში მითითებული არაა- აღნიშნულია მხოლოდ ორი მათგანის, პეტრეს და ჩიმაგას რიგითი სათვალავი (იხ. აქვე, ცხრილი № 1). ძნელი სათქმელია, ეს ნაკლებობა დედნისაა თუ თავად შატბერდული ხელნაწერის გადამწერის უყურადღებობის შედეგი.

ჭელიშურ რედაქციაში ტექსტი ერთგან ისეა შემოკლებული, რომ სხვა ნუსხების (N/Sin.geo-48 და შატბერდული) რიგით II-VI კათოლიკოსები დასახელებული არაა. მასში არ იხსენიებიან სხვა ხელნაწერებში (N/Sin.geo- 50 და შატბერდული) დასახელებული შემდეგი კათოლიკოსები: ევლალე (რიგით მერვე), სამოელი (რიგით მეათე), სიმონ-პეტრე (რიგით მეთერთმეტე) და სამოელ „სხუად“ (რიგით მეცამეტე); იმავე რედაქციაში რამდენიმე კათოლიკოსი (საბია, მაკარი, სამოელ და ევნონ) სათვალავის გარეშეა დასახელებული. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ის რამდენიმე სათვალავი, რომლებიც აქ წარმოდგენილია, ზუსტად ემთხვევა N/Sin.geo-50 ხელნაწერისას.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ თუ უფრო ადრე არა, IX ს. ბოლოს „მოქცევას“ ისტორიულ ქრონიკაში წარმოდგენილი იყო კათოლიკოსთა რიგი სათვალავითურთ. დღეისათვის მოღწეულ ხელნაწერთა შორის კათოლიკოსთა აღნიშნული რიგი სრული სახით, მაგრამ ფრაგმენტული სათვალავით შატბერდულმა შემოგვინახა, ხოლო სრულ სათვალავს რიგთან ერთად წარმოგვიდგენს სინური ხელნაწერების მონაცემთა ერთობლიობა, რასაც ამ საკითხში ემოწმება შატბერდული და ჭელიშური ხელნაწერების ფრაგმენტული მონაცემები.

„მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის ძირითად ტექსტს ბოლოში ერთვის ერისთავებისა და კათოლიკოსების მშრალი სია.

შევეხებით კათოლიკოსთა სიას. უკანასკნელი კათოლიკოსი, რომელიც ქრონიკის ძირითად ტექსტში იხსენიება, არის ევნონი, სათვალავით მე-20. კათოლიკოსთა დამატებითი სია, რომელიც ძირითად ტექსტს უშუალოდ მოსდევს, იწყება ცოლოსანი კათოლიკოსების ჩამონათვალით, რომელთა რაოდენობა შეადგენს ცხრას. მოვიტანთ ტექსტს ხელნაწერების მიხედვით:

სინური(N/sin.geo-50)	ჭელიშური	შატბერდული
ხოლო კათალიკოზნი, რომელნი ევნუსითგან მოღმართ იყვნეს: თავფაჩაგ : კ~ა; ევლალე :კ~ზ; იოველ :კ~გ; სამოველ :კ~დ; გიორგი :კ~ე; კვირიონ :კ~ვ; ოზიდ-ბოზიდ :კ~ზ; თევდორე :კ~წ; პეტრე :კ~თ; ესე თ:-ნი ცოლოსანნი იყვნეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 2007, გვ. 21).	ხოლო კათალიკოზნი თვობითგ[ა]ნ ¹ იყ[ვ]ნეს: თავფაჩაგ: კ~ა; ავლალე:კ~ზ; იოველ:კ~გ; სამოელ:კ~დ; გიორგი:კ~ე; კვირიონ:კ~ვ; ოზიბო-და:კ~ზ; თ(თევდორ)ე :კ~წ; პეტრე :კ~თ; ესენი ცოლოსანნი იყვნეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97).	ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თავფაჩაგ :~ა; ევლალე :~ზ; იოველ:~გ; სამოველ:~დ; გეორგი:~ე; კვირიონ:~ვ; იზიდ-ბოზიდ:~ზ; თ(ევდორ)ე:~წ; პეტრე:~თ; ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97).

ჩვენს ყურადღებას იქცევს სინური და შატბერდული ნუსხების ჩვენება, რომ ცოლოსანი კათოლიკოსები მოღვაწეობდნენ „ევნუსითგან მოღმართ“ / „ევნონისითგან მომართ“². იმის გათვალისწინებით, რომ ძველ ქართულში „მოღმართ“/„მომართ“ აღნიშნავს მიმართულებას საწყისი წერტილიდან მთქმელისაკენ, ტექსტი გვეუბნება, რომ ჩამოთვლილი ცხრა კათოლიკოსი მოღვაწეობდა ევნონის შემდგომ. მაგრამ რეალური ვითარება სხვაგვარია. ნუსხებში ჩამოთვლილი ცოლოსანი კათოლიკოსები ევნონის შემდგომნი კი არა, მისი წინამორბედები არიან (კაკაბაძე, 1928, გვ. 30; სანაძე, 2019, გვ. 436; არახამია, 2020, გვ. 155-156). ამას მოწმობს ქრონიკის ძირითადი ტექსტის მონაცემებისა და ცოლოსან კათოლიკოსთა სიის შედარება, საიდანაც ჩანს, რომ ცხრა ცოლოსანი კათოლიკოსიდან ოთხი - თავფაჩაგ, ევლალე, სამოელ და პეტრე (ქრონიკით: სიმონ-პეტრე) დასახელებულია ქრონიკის ძირითად ტექსტში ევნონის წინამორბედ კათოლიკოსთა შორის. ერთ-ერთი ცოლოსანი კათოლიკოსის კვირიონის შესახებ ამავე აზრს ირიბად ადასტურებს XIII ს. სომეხი მემკთიანის მხითარ აირივანეცის თხზულებაში დაცული ქართველ მთავარეპისკოპოსთა და კათოლიკოსთა სია, რომელიც შედგენილია „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანისა (XII ს.) და ზოგი სხვა, დღეისათვის უცნობი წყაროს მონაცემების საფუძველზე. აღნიშნულ სიაში კვირიონი (კირიონის ფორმით) დასახელებულია ევლალესა (მხითარ

1 “თვო-ბითგ[ა]ნ“ მცდარი წაკითხვაა სიტყვისა „ევნონისითგან“. შდრ. იქვე: „ხოლო ჯუჴლად ევნოსისი-თ-გან მოღმართ იყვნეს კა-თო-ლიკოზნი: მ~ე“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97).

2 სინური ხელნაწერის „მოღმართ“ ფორმას შატბერდულში შეესაბამება „მომართ“, რაც პირველის შეკუმშული ვარიანტია. მართალია, ჭელიშურს ეს სიტყვა აქ აკლია, მაგრამ ცოტა ქვემოთ, კათოლიკოსთა რაოდენობის შემაჯამებელ ფრაზაში ეს სიტყვა („მოღმართ“) დასტურდება.

აირივანეცით „ელთა“) და მაკარს შორის (მხითარ აირივანეცი, 1990, გვ. 15, 32), ანუ ევნონის წინამორბედ კათოლიკოსთა რიგში. ასევეა ვახუშტი ბაგრატიონთან (ვახუშტი, 1973, გვ. 120, სქოლიო 2).

ქრონიკის ძირითად ტექსტში არ გვხვდება ცოლოსანთა სიის ხუთი კათოლიკოსი: იოველ, გიორგი, კურიონ, იზიდ-ბოზიდ და თევდორე. რით უნდა უნდა აიხსნას ეს გარემოება? ცალსახა პასუხი ამ კიხვაზე არ არსებობს. სავარაუდოა ორი ვარიანტი: 1. შესაძლოა, აღნიშნული ხუთი კათოლიკოსი დასახელებული იყო კიდეც „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ძირითადი ტექსტის არქეტიპში და ბოლოში დართული ცოლოსნების სიაც ამ არქეტიპის მონაცემების მიხედვით შეადგინეს, მოგვიანებით კი, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, ამოიღეს ძირითადი ტექსტიდან, ხოლო ბოლოში დართული სია უცვლელი დარჩა, რამაც მოგვცა სხვაობა სიასა და ძირითად ტექსტს შორის; 2. დასაშვებია ისიც, რომ აღნიშნული ხუთი კათოლიკოსის შესახებ არაფერი ყოფილიყო ნათქვამი „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ძირითად ტექსტში და სია შეედგინათ მისგან დამოუკიდებელი სხვა წყაროს/წყაროების მიხედვით, ორივეგან ოთხი კათოლიკოსის იდენტურობა კი უზრალო დამთხვევა იყოს. საკონტროლო მასალის უქონლობის გამო ორივე შესაძლებლობა თანაბარი უფლებისაა. ასევე გაურკვეველია აღნიშნული სიის შემდგენელმა ამ ცხრა კათოლიკოსის ცოლოსნობის შესახებ ინფორმაცია ისტორიული ქრონიკის ტექსტიდან მიიღო თუ სხვა წყაროდან. ფაქტია, რომ დღეისათვის ცნობილი ხელნაწერები, შესაბამისად, მათი დედნები ასეთ ცნობას არ შეიცავენ.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ცოლოსან კათოლიკოსთა სია, მასში დასახელებული კათოლიკოსების მოღვაწეობა ევნონის წინარე ხანაში იგულისხმება.

ზემოთქმული გვკარნახობს, რომ ნუსხების ჩვენება „მოღმართ“/„მომართ“ დამახინჯებული ფორმაა მისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვისა „მიღმართ“/„მიმართ“, რომელიც ცოლოსან კათოლიკოსთა მოღვაწეობას ევნონის წინარე ხანაში ათავსებს და, ასე თუ ისე, შესაბამისობაშია ქრონიკის ძირითადი ტექსტის მონაცემებთან.

აღნიშნული დამახინჯების გზა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ისტორიული ქრონიკის რომელიღაც ადრეული ხელნაწერის გადამწერმა თუ რედაქტორმა ძირითად ტექსტში დასახელებულ კათოლიკოსთაგან ცალკე გამოყო ცოლოსანნი და მათი სია აღნიშნულ ტექსტს ბოლოში დაურთო. იქვე დააზუსტა მათი მოღვაწეობის ხანა ძირითადი ტექსტში მოხსენიებული უკანასკნელი კათოლიკოსის ევნონის ზეობაზე მითითებით - „ევნონისითგან მიღმართ“. მანვე აღნიშნულ სიაში ჩამოთვლილ კათოლიკოსებს მისცა ცალკე, ძირითადი ტექსტისგან დამოუკიდებელი რიგითი სათვალავი პირველიდან ცხრამდე, რისი ნაკვალევიც შატბერდულ ნუსხაში შემორჩა. შემდგომში პირვანდელი წაკითხვა „ევნონისითგან მიღმართ“ ერთ-ერთი გვიანდელი ნუსხის გადამწერმა შეცდომით წაკითხა როგორც „ევნონისითგან მოღმართ“, ხოლო რიგითი სათვალავი ცოლოსანი კათოლიკოსების სიისა უცვლელი დატოვა. სწორედ ეს ეტაპი შემოგვინახა შატბერდულმა ნუსხამ. შემდგომი ხანის გადამწერმა, რომლის ხელთ არსებულ დედანში უკვე ეწერა

„ევნონისითგან მოღმართ“, ცოლოსანი კათოლიკოსები მიიჩნია ძირითად ტექსტში უკანასკნელი, მეოცე ნომრით აღნუსხული ევნონის შემდგომი ხანის კათოლიკოსებად და მათი რიგითი სათვალავი გააგრძელა ევნონიდან მზარდი ნუმერაციით 21-დან 29-ის ჩათვლით, რომელიც შემოინახეს სინურმა და ჭელიშურმა ნუსხებმა.

ამრიგად, ისტორიული ქრონიკის განსახილველი ფრაზა - „ევნონისითგან მოღმართ“ - გვიანდელი გადამწერების მიერ ნებისმიერ თუ უნებლიედ გადასხვაფერებული წაკითხვაა პირვანდელი ფორმისა „ევნონისითგან მიღმართ“.

ცოლოსან კათოლიკოსთა ჩამონათვალის შემაჯამებელ სიტყვებს - „ესე თ:-ნი/ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს“ - ჭელიშურსა და შატბერდულში მოსდევს სიტყვა „მერმე“ (არ ჩანს ვის ან რის „მერმე“) და კათოლიკოსების სია. მოვიტანთ ტექსტებს ნუსხების მიხედვით:

სინური(N/Sin.geo-50)	ჭელიშური	შატბერდული
[„...პეტრე :კ~თ. ესე :~თ:-ნი ცოლოსანი იყვნეს]. კათალიკოზნი იყვნეს მერმე მამა: ლ; იოვანე: ლ~ა; გრიგოლ: ლ~ზ; კლემენტოზ: ლ~გ; სარმეან: ლ~დ; თალელე: ლ~ე; სამოელ: ლ~ვ; კვრილე: ლ~ზ; გრიგოლ : ლ~წ; სამოელ : ლ~თ; გიორგი: ~მ; გაბრიელ: მ~ა; ილარიონ: მ~ზ; არსენ დიდი: მ~გ; ევსუქი რომელმან გაახლა მცხეთა: მ~დ; ბასილი.	[...პეტრე :კ~თ; ესე ცოლოსანნი იყვნეს]	[„...პეტრე ~თ; ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს]. მერმე მამა :~ა; იოვანე :~ზ; გრიგოლ :~გ; კლემენტოზის :~დ; სარ-მეან :~ე; თალელ :~ვ; სამოველ :~ზ; კვრილე :~წ; გრიგოლ :~თ; სამოველ :~ი; გეორგი :~ი~ა; გაბრიელ :~ი~ზ; ილარიონ :~ი~გ; არსენი :~ი~დ; ევსუქი :~ი~ე; ბასილი :~ი~ვ; მიქაელ :~ი~ზ; დავით :~ი~წ; არსენი :~ი~თ“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97).
ხოლო ამის შემდგომად ვინცა შეიცვალებოდეს კათალიკოზთაგან, იწერებოდის (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 2007, გვ. 21).	ხოლო ჯუმაღად ევნონისითგან მოღმართ იყვნეს კათალიკოზნი: მ~ე ³ . ხოლო ამის შემდგომად ვინცა შეიცვალებოდეს კათალიკოზთაგანი, იწერებოდის“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97-98).	

3 როგორც ზ. ალექსიძე შენიშნავს, გადამწერის შეცდომაა ჭელიშური რედაქციის ფრაზა: „ხოლო ჯუმაღად ევნონისით-გან მოღმართ იყვნეს კათალიკოზნი: მ~ე (45)“. გადამწერმა, როგორც ჩანს, აღარ გადაწერა მთლიანი სია და ბოლო, ორმოცდამეხუთე კათოლიკოსზე მითითება ევნონისგან ათვლილად მიიჩნია (ალექსიძე, 2011, გვ. 221), რაც ტექსტისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია (ალექსიძე, 2011, გვ. 165-166) და არა მისი დედნის ნაკლულობის (ალექსიძე, 2011, გვ. 165).

ყურადღებას იქცევს ნუსხებში წარმოდგენილი ნუმერაცია. შატბერდულში „მერმეს“ შემდეგ აღნუსხული კათოლიკოსების ნუმერაცია თავიდან იწყება: „მერმეს“ შემდეგ დასახელებული პირველი კათოლიკოსი მამა აღნუსხულია პირველი (:“ა) ნომრით და ასე თანამიმდევრულად 29-ის (ი“თ) ჩათვლით. აქ ცოლოსანი კათოლიკოსების სიისგან გამიჯნულია ვილაცის ან რაღაცის „მერმე“ მოღვაწე კათოლიკოსები. ხოლო სინურ ნუსხაში, სადაც ცოლოსანი კათოლიკოსების ნუმერაცია შეთანხმებულია ძირითადი ტექსტისა და ცოლოსანთა დამატებითი სიის გაერთიანებულ სათვალავთან და პირდაპირ აგრძელებს მას, დასახელებული კათოლიკოსი მამა აღნუსხულია 30-ე ნომრით და ასე თანამიმდევრულად ბოლომდე. იგივე იგულისხმება ჭელიშური ნუსხის დედანშიც (ალექსიძე, 2011, გვ. 165).

ამგვარაა, რომ ჭელიშურის დედანსა და სინურში კათოლიკოსთა დამატებითი სიის ნუმერაცია არ შეესაბამება კათოლიკოსთა რეალურ რიცხვს, რადგანაც ამ სიის პირველი ცხრა კათოლიკოსი ევნონის წინარე ხანაში მოღვაწეობდნენ. ევნონის შემდგომი კათოლიკოსების რეალური სია მამათი იწყება. აღნიშნული სია და ნუმერაცია პირვანდელი სახით შემონახულია შატბერდულში, სადაც, ზემოთ შემოთავაზებული შესწორების („ევნონისითგან მიღმართ“) გათვალისწინებით, ერთმანეთისგან იმიჯნება ევნონის წინამორბედი ცოლოსანი კათოლიკოსები და მისი მომდევნო კათოლიკოსები მათი ცალ-ცალკე აღნუსხვით, რის შემდეგაც გასაგები ხდება თუ რა იგულისხმება უმაღლესი იერარქების ამ ორი ჯგუფის ჩამონათვალს შორის ჩასმულ სიტყვაში „მერმე“: ცხადია, იგულისხმება ევნონის „მერმე“.

როგორც ვხედავთ, „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის გადამწერებმა თუ რედაქტორებმა ძეგლის მანუსკრიპტული ისტორიის გარკვეულ ეტაპზე დაუშვეს შეცდომა, როდესაც ცოლოსან კათოლიკოსთა ცალკე სია სათვალავით მიაბეს ძირითადი ტექსტის ოცეულს. ამან წარმოშვა სხვა შეცდომაც, კერძოდ, ევნონის შემდგომ კათოლიკოსთა რიგში, სრულიად უმართებულოდ, ხელმეორედ აღმოჩნდნენ ევნონამდე მოღვაწე კათოლიკოსები: თავფაჩაგი, ევლალე, იოველ, სამოველ, გეორგი, კვრიონ, იზიდ-ბოზიდი, თევდორე და პეტრე.

შუა საუკუნეების რედაქტორ-გადამწერთა შეცდომამ გავლენა იქონია თანამედროვე ისტორიოგრაფიაზეც, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღნიშნული ცხრა კათოლიკოსი სპეციალურ გამოკვლევებში, ენციკლოპედიებსა თუ საეკლესიო კალენდრებში ევნონის შემდგომი ხანის (VII-VIII სს.) იერარქებად არიან წარმოდგენილნი.

როგორც ვხედავთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის ძირითადი ტექსტი, სადაც თხრობა VII ს. 40-იანი-50-იანი წლებით მთავრდება, 20 კათოლიკოსია დასახელებული. არ ვიცით აღნიშნულ კათოლიკოსთა რიგითი სათვალავი, რომელიც მეტნაკლები სისრულით დღეისათვის ცნობილ X საუკუნის სამ და XIII-XIV სს. ერთ ხელნაწერში, თხზულების შემდგენელს ეკუთვნის თუ გვიანდელი რედაქტორის ნახელავია, მაგრამ მისი არსებობა ტექსტში IX ს. ბოლოსთვის ეჭვსგარეშეა. VII ს. 40-იანი-50-იანი წლებზე შეწყვეტილი თხრობის გაგრძელება არავის უცდია, მაგრამ მოგვიანო ხანის რედაქტორები თუ გადამწერები ზრუნავდნენ თხზულების ბოლოს

დასახელებული კათოლიკოსის შემდგომი იერარქების აღნუსხვაზე, რისი შედეგიც არის დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში ძირითადი ტექსტის ბოლოს დართული კათოლიკოსების მშრალი სია. როგორც ითქვა, ჯერ დაურთავთ ძირითადი ტექსტის თხრობის ქრონოლოგიურ ფარგლებში (პირველი კათოლიკოსიდან, პეტრედან ევონამდე ანუ „ევონისითგან მიღმართ“) მოღვაწე ცხრა ცოლოსანი კათოლიკოსის ჩამონათვალი თითოეულის რიგითი სათვალავის მითითებით (ერთიდან ცხრამდე). ამ ჩამონათვალის შემდეგ დაუწყიათ ევონის მომდევნო კათოლიკოსების აღნუსხვა, რაც, იწყება სიტყვით „მერმე“, იგულისხმება ევონის „მერმე“. ამ დამატებითი სიის კათოლიკოსების რიგითი სათვალავი თავიდან იწყებოდა.

X ს. დასწყისამდე ჩვენთვის უცნობია ამ დამატებითი სიის შევსების პროცესის დეტალები და არ გვაქვს პასუხი კითხვებზე -სიაში აღიწესებოდა ყოველი ახალი კათოლიკოსი თუ სიის შევსება ხდებოდა ორი ან მეტი გარდაცვლილი კათოლიკოსის სახელებით ანუ კათოლიკოსების სახელები სათითაოდ შეჰქონდათ თუ ჯგუფურად? სად, რომელ წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერში ხდებოდა აღნიშნული სიის შევსება? ამას აკეთებდა შესაბამისი ვალდებულებით აღჭურვილი პირი თუ ეს საქმე თხზულების გადამწერებისთვის იყო მინდობილი? დანამდვილებით რაც ვიცით ისაა, რომ სიის შევსებას სავალდებულო ხასიათი ჰქონია: N/Sin.geo-50 ხელნაწერის ბოლოს ვკითხულობთ: „ხოლო ამისა (იგულისხმება ბოლოს დასახელებული ბასილი კათოლიკოსი გ. ა.) შემდგომად ვინცა შეიცვალეოდის, იწერებოდის“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 2007, გვ. 21). იგივე წერია ჭელიშური ნუსხის დამატებითი სიის ბოლოს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97-98). ვიცით ისიც, რომ N/Sin.geo-50 ხელნაწერის დედანი იწერებოდა დამატებითი სიის ბოლოს დასახელებული ბასილი კათოლიკოსის სიცოცხლეში და სიაშიც ეს უკანასკნელი გადამწერის მიერაა შეტანილი (ალექსიძე, 2019, გვ. 27-28).

დღეისათვის ცნობილი ხელნაწერების მიხედვით, დამატებითი სიის შევსება შატბერდული ხელნაწერით წყდება გადამწერის თანამედროვე კათოლიკოსით (არსენი მეორე) (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963, გვ. 97). ჭელიშური ნუსხა, რომელიც XIV-XV სს. გადაწერილი X ს. დასაწყისის დედნიდან, დამატებითი სიის დედნისეული ვერსიით კმაყოფილდება. ჭელიშურის გადამწერს არ უცდია კათოლიკოსთა დედნისეული სია გაეგრძელებინა და თავის დრომდე მოეყვანა. ეს არ უცდია არც N/Sin.geo-50 ხელნაწერის გადამწერს, რომელიც გარკვეული დროით დაშორებული იყო დედნისეული სიის ბოლოს დასახელებული ბასილი კათოლიკოსის ხანას.

მიუხედავად არაერთი პასუხგაუცემელი კითხვისა, ის მაინც აშკარაა, რომ კათოლიკოსთა რიგი და სათვალავი „მოქცევაჲს“ ისტორიულმა ქრონიკამ X ს. 70-იან წლებამდე მოიყვანა.

აღსანიშნავია, რომ მთავარეპისკოპოსთა და კათოლიკოსთა რიგი „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ძირითად ტექსტში სინქრონიზირებულია მეფეთა და ერისთავთა რიგთან: ყოველი მეფისა და ერისთავის (მეფობის გაუქმების შემდეგ) შესახებ თხრობაში დასახელებულია მისი თანამედროვე უმაღლესი საეკლესიო იერარქი.

ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ კათოლიკოსთა რიგი, ისევე, როგორც „მოქცევაჲს“ ისტორიულქრონიკაში, თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი პეტრედან (პირველი) თაბორის ჩათვლით, მაგრამ რიგის პერსონალური შემადგენლობა განსხვავებულია „მოქცევაჲსაგან“, სახელდობრ, მასში არ იხსენიებიან მესამე პეტრე, მეოთხე სამოველ, მეთერთმეტე სამოველ, მე-თექვსმეტე ბართლომე. ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ არ გვხვდება, აგრეთვე, „მოქცევაჲსული“ მეცხრამეტე სამოველ და მეოცე ევონ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 214, 221, 222, 223, 224, 225, 228, 232, 235).

ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ თაბორის (მეთვრამეტე) შემდგომ კათოლიკოსი დავით აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის ხანამდე არ იხსენიება. აქედან გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე მოხსენიებულია რამდენიმე კათოლიკოსი (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 340, 400, 423, 452, 454, 458, 461, 485, 486, 488, 502, 572, 615, 619, 727).

ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოს კათოლიკოსთა რიგითი სათვალავის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება. მაგრამ გვაქვს კათოლიკოსთა რაოდენობის შემაჯამებელი ცნობა, რომლის თანახმად მირიან მეფის დროიდან ფარსმან სხუასა და კათოლიკოს ევლალეს დროს იოანე შუამდინარელისა და მისი მოწაფეების ქართლში მოსვლამდე „გარდაჲდეს წელნი ორასნი და მეფენი გარდაიცვალნეს ათოთხმეტნი და ვახტანგისითგან გარდაიცვალნეს კათალიკოზნი რვანი“ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 223-224). აღნიშნული შემაჯამებელი ცნობის მითითება, რომ „ვახტანგისითგან“ resp. პეტრე კათოლიკოსიდან ევლალემდე (ჩათვლით) რვა კათოლიკოსი შეიცვალა, შეუსაბამოა ტექსტთან, სადაც ევლალეს ჩათვლით სულ ექვსი კათოლიკოსია დასახელებული - პეტრე, სამოელ, თავფეჩაგ, ჩირმაგ, საბა, ევლალი (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 214, 215, 221, 222, 223). ეს წინააღმდეგობა შენიშნა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ და თავის ტექსტში ევლალე მეექვსე კათოლიკოსად დაასახელა (იხ. ქვემოთ). ამავე დროს ეს ინფორმაცია ზუსტად პასუხობს „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის მონაცემებს, რომლის თანახმად, ევლალი რიგით მე-8 კათოლიკოსია. ძველი „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობის წარმომავლობა შემდგომ დაკვირვებას მოითხოვს.

სუმბატ დავითის-ძე (XI ს.), რომელიც თავის თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკითაც სარგებლობდა, ამ უკანასკნელს მისდევს კათოლიკოსთა რიგში მე-11 სვიმონ-პეტრედან მე-20 ევონის ჩათვლით, მაგრამ რიგითი სათვალავის გარეშე (იხ. სუმბატ დავითის-ძე, 1990, გვ. 40-43).

„მეცნიერ კაცთა“ კომისიამ ძველი „ქართლის ცხოვრებიდან“ უცვლელად გადმოიტანა კათოლიკოსთა რიგი პეტრედან თაბორის ჩათვლით და სიახლე, რაც საკითხის გაშუქებაში შეიტანა, სათვალავი იყო, რაც კარგად ჩანს აქვე მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი № 2

კათოლიკოსთა რიგითი სათვალავი	ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2017, გვ.
პირველი კათალიკოზი პეტრე	157, 159
~ბ: კათალიკოზი სამოელ	162
~გ: კათალიკოზი თავფეჩაგ	163
~დ: კათალიკოზი ჩირმაგ	163
~ე: კათალიკოზი საბა	164
~ვ: კათალიკოზი ევლათოს	172
~ზ: კათალიკოზი მაკარი	173
~წ: კათალიკოზი სვიმონ	175
~თ: კათალიკოზი სამოელ	175
~ი: კათალიკოზი სამოელ	177
ი~ა: კათალიკოზი ბართლომე	177
ი~ბ: კათალიკოზი იოანე	179
ი~გ: კათალიკოზი ბაბილა	179
ი~დ: კათალიკოზი თაბორ	180, 183

ცხრილში მოტანილი სათვალავი ახალი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის არმეზება გატანილი ისე, როგორც თანამოსახელე მეფეთა სათვალავი.

ახალ „ქართლის ცხოვრებაშიც“, დიდი ქრონოლოგიური შუალედის შემდეგ, დავით აღმაშენებლის დროიდან გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1318 წ.), ძველი „ქართლის ცხოვრების“ კვალდაკვალ, არაერთი კათოლიკოსია დასახელებული, ოღონდ სათვალავის გარეშე (იხ. ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2017, გვ. 263; ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2019, გვ. 26, 27, 84, 170, 221, 223, 227, 230-249).

აღსანიშნავია, რომ „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ კვლავ აღორძინა კარგა ხნით მივიწყებული მეთოდი, რომელსაც „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის შემდგენელი მისდევდა ქართლის ეკლესიის უმაღლეს იერარქთა რიგის დადგენაში. კომისიამ თავის მიერვე შედგენილ XIV-XVII საუკუნეების ისტორიაში მოგვცა ქართლის კათოლიკოსთა რიგის სინქრონიზაცია ქართველ მეფეთა რიგთან ბაგრატ მეხუთიდან (1360-1395) დაწყებული სვიმონ დიდის (1556-1569, 1578-1599 წწ.) ჩათვლით (იხ. ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2020, გვ. 3, 8, 16, 17, 18, 19, 22, 23, 27, 30, 33, 44, 97, 99, 115), თუმცა მათი რიგითი სათვალავი არ მოუცია.

ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ფართოდ იყენებდა ახალი ქართლის ცხოვრების ვახტანგისეულ რედაქციას (ჯანაშვილისეულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებს) ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, კათოლიკოსთა სათვალავს არ იძლევა.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, დღეისათვის მოღწეულ ძველ ქართულ ისტორიულ თხზულებათა შორის, სადაც კათოლიკოსთა სათვალავია მოცემული, „მოქცევად ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკაა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ XI-XVIII სს. ქართული ისტორიოგრაფია კათოლიკოსთა სათვალავის შემუშავებაში „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის ნააზრევს ვერ გასცდა.

ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ძველ ქართველ მემკვიდრეებს (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის ცნობილი ძეგლების მიხედვით) X საუკუნის ბოლო მეოთხედის შემდეგ არ უცდიათ გაემართათ საქართველოს კათოლიკოსების თანმიმდევრული რიგი და პერსონალური შემადგენლობა, როგორც ეს ხორციელდებოდა მეფეების მიმართ. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ ქვეყნის ზოგადი ისტორიის ამსახველ თხზულებებში (ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი) საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქების რიგის თანმიმდევრობა თაბორის შემდეგ ხარვეზებითაა წარმოდგენილი, ხოლო კათოლიკოსთა სათვალავი იმავე თაბორის ჩათვლით ზოგან (ახალი „ქართლის ცხოვრება“) გვაქვს, ზოგან (ძველი „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი) არა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული მიმართულებით რა მემკვიდრეობაც დაგვიტოვეს ძველმა ქართველმა მემკვიდრეებმა საერთოდ საქართველოს ეკლესიისა და კონკრეტულად უმაღლესი იერარქების მოღვაწეობის შესახებ, უაღრესად მნიშვნელოვანია და ფასდაუდებელ სამსახურს უწევს თანამედროვე ისტორიოგრაფიას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აირივანეცი, მხითარ. (1990). *ქრონოგრაფიული ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი.

ალექსიძე, ზ. (2011). ქრისტიანული კავკასია. *ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*. 2. თბილისი.

ალექსიძე, ზ. (2019). „საქმენი იოვანე ზედაზნელისანი“ და „მარტყოზაძე აბიბოს ნეკრესელისაჲ“. სინური რედაქციები. თბილისი.

არახამია, გ. (2020). მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის აღდგენისათვის. *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის*. № 2. თბილისი.

ახალი „ქართლის ცხოვრება“. *ვახტანგისეული რედაქცია*. ტ. I. (2017). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბილისი.

ახალი „ქართლის ცხოვრება“. *ვახტანგისეული რედაქცია*. ტ. II. (2019). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბილისი.

ახალი „ქართლის ცხოვრება“. *ვახტანგისეული რედაქცია*. ტ. III. (2020). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბილისი.

ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1928). ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნის ისტორიის შესახებ. *საისტორიო კრებული*. II. ტფილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. (1963). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. I (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. (2007). გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი.

სანაძე, მ. (2019). „ქართველთა ცხოვრება“. წ. I. თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (2008). მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი. 2008,

სუმბატ დავითის-ძე. *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*. (1990). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბილისი.

ყუზანეიშვილი, ს. (1940). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური რედაქცია. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*. XII. თბილისი.

შანიძე, მზ. გიუნაშვილი, ელ. (1979). შესავალი. *შატბერდის კრებული*. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი.

GONELI ARAKHAMIA ENUMERATION FOR CATHOLICOI OF KARTLI IN MEDIEVAL GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Abstract

Enumeration for Catholicoi of Kartli has been a significant issue for medieval Georgian historiography.

“The Conversion of Kartli” („Moktsevai Kartlisai”) is the oldest example of the Georgian historical work known today, which keeps the enumeration of the Catholicoi of Kartli. The major story of the chronicle, which concludes circa 650 AD, involves 20 Catholicoi from Peter to Eunone. In the essay, Catholicoi’s order is synchronized with the order of the kings and “Erismtavaris” (literary “grand dukes”) of Kartli.

There is a so-called “additional list” which is attached to the end of the major story. It includes Catholicoi’s numbered order until the 970s. The protograph of the additional list separately contained the list of married Catholicoi (Tavachag, Eulale, Joel, Samuel, Georgi, Kirion, Izid-Bozid, Tevdore, Peter) who headed Georgian Orthodox Church until the years of 640–50, that is, before Eunone. The list was followed by the numbered order of other high primates since Eunone.

Later scribes have misidentified those married Catholicoi as post-Eunone ones, and united them under single numbering. Then-made mistake influenced modern historiography too, which was manifested in the fact that the non-existent Tvarachung II, Eulale II, Joel II, Kirion II, etc. are named as the next hierarchs of the Georgian Catholicoi’s rank. Apparently, the mentioned order and numbering require revision.

The enumeration of the Catholicoi was not confirmed in the old “Life of Kartli” and in the works of Sumbat-Son-of-David (11th century) and Vakhushti Bagrationi (18th century).

“The Commission of Scientists” (early 18th century) transferred Catholicoi’s order from Peter to Tabor from the old “Life of Kartli” unchanged but updated enumeration.

While numbering high primates, 11th-18th century Georgian historiography wasn’t able to go beyond citing “Conversion of Kartli”. Since the last quarter of the 10th century, ancient Georgian chroniclers have not been trying to hold a consistent line of the Catholicoi of Kartli and its personal composition, as was done with kings.

It should also be said here that, in general, the ancient Georgian chroniclers’ work about the work of the Georgian Church and, specifically, the highest hierarchs, is extremely important and provide invaluable service to modern historiography.

Keywords: Catholicoi of Kartli, The Conversion of Kartli, Vakhushti Batoni-shvili, Life of kartli.